





ქ. თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული
პირი თბილისის არქიტექტურის სამსახურს

გადაწყვეტილება №1438795-ის თანახმად გაცნობებთ შემდეგს;

1. შ.პ.ს თბილისის ხედმა ს/კ 404382020 დირექტორი ა.აბულაძე და მოქალაქეებმა გ.ნადიბაიძე პ/ნ 01024050861, ნ.ნადიბაიძე პ/ნ 01024058567, ა.გორდაძე პ/ნ 01017012222 გააფორმა მიწისა და უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება განვადებით, სადაც შ.პ.ს. თბილისის ხედი იღებს ვალდებულებას დაანგრიოს ძველი სახლი და მის ადგილას მოახდინოს ახალი კორპუსის მშენებლობა, სადაც მოქალაქეებს გ.ნადიბაიძეს (90 კვ.მ ბინა), ნ.ნადიბაიძეს (50კვ.მ და 40კვ.მ ორი ბინა) ა.გორდაძეს (40 კვ.მ. ბინა) ხელსეკრულების 1.1 პუნქტის და დანართი №1 ის თანახმად გადაეცემათ ახალაშენებულ სახლში ბინები, ხოლო რაც შეეხება დემონტაჟს ხელსეკრულების 2.3 პუნქტის 2.3.1. და 2.3.2. ქვეპუნქტების შესაბამისად შ.პ.ს. თბილისის ხედი უფლებამოსილია მოახდინოს ძველი სახლის დემონტაჟი ახლის აშენების მიზნით არქიტექტურის სამსახურში წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, აღნიშნული ხელსეკრულებები დარეგისტრირებულია საჯარო რეესტრში, შეგიძლიათ იხილოთ საიტზე და წარმოგიდგენთ ხელშეკრულებებს დანართის სახითაც.
2. რაც შეეხება ტოპოგრაფიულ გეგმას, შ.პ.ს თბილისის ხედმა შეუკვეთა ტოპო შ.პ.ს პრივატტექსერვისს, რომელმაც გააკეთა ტოპოგადაღება ყველა კომუნიკაციის დატანით, სადაც ნათლად ჩანს რომ აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე არანაირი ცენტრალური კომუნიკაცია არ გადის. გაზი, წყალი, დენი და სხვა კომუნიკაციები ნაჩვენებია საპროექტო ტერიტორიის გარეთ ტოპოზე დატანილი აღნიშვნებით.

შ.პ.ს. შბილისის ხედის დირექტორი

ა. აბულაძე

სამსახურის უფროსი

საქართველო
ქ.თბილისის მერია
სსიპ. ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახური

სიტუაციური გეგმა



განყოფილ. უფროსი		
მთავარი სპეც.ზი		



პირობითი აღნიშვნები

მიწისქვეშა კომუნიკაციები	ნაკვეთის საზღვარი	ბუჩქი	ცოცხალი ღობე	ღობე	
კანალიზაცია	შენობა	გაზონი	ხეების რიგი	ბორდიური	
დენის კაბელი	არკა	სამეთვალყურეო ჭები	ტრანსფორმატორი	ბეტონი	
გაზის მილი	ფარდული	ძეგლი	რადიო ან ტელე ანძა	კედელი	
წყლის მილი	კიბე	შადრევანი	ლამპიონები	საყრდენი კედელი	
კავშირგაბმულობა	ფოთლოვანი ხე	ონკანი	ელექტრო ბოძი	ბილიკი	
	წიწვოვანი ხე	წყარო ან ჭა	რკინიგზა	გზის კონტური	
	ხეხილის ხე	ბენზინგასამართი სადგური	იზოჰიფსი	ფლატე	
	პალმა	მაღალი ძაბვის გადამცემი	მთავარი იზოჰიფსი	წყლის კონტური	

შპს,, პრივატტექსერვისი"
ქ. თბილისი, დიდუბის პარკის ტერიტორია, ოფის ცენტრი, II სართული
Ltd "PRIVATTEKSERVISI"
ტელ: +995 514-44-11-41.
E-mail: zvladlw@gmail.com

დირექტორი		ზ. წიკლაური
კომპ. უზრუნველყოფა		ზ. წიკლაური
აზომა		ლ. ჩიტაიშვილი
მისამართი	ქ. თბილისი, ამაღლების ქუჩა №37 საკ. კოდი:01.15.05.089.008	
	მაშტაბი 1:500	17.10.2013

სამსახურის უფროსი

საქართველო
ქ.თბილისის მერია
სსიპ. ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახური

სიტუაციური გეგმა



განყოფილ. უფროსი	
მთავარი სპეც.ტი	



პირობითი აღნიშვნები

მიწისქვეშა კომუნიკაციები				
	ნაკვეთის საზღვარი	ბუჩქი	ცოცხალი ღობე	ღობე
	შენობა	გაზონი	ხეების რიგი	ბორდიური
კანალიზაცია	არკა	სამეთვალყურეო ჭები	ტრანსფორმატორი	ბეტონი
დენის კაბელი	ფარდული	ძეგლი	რადიო ან ტელე ანძა	კედელი
გაზის მილი	კიბე	შადრევანი	ლამპიონები	საყრდენი კედელი
წყლის მილი	ფოთლოვანი ხე	ონკანი	ელექტრო ბოძი	ბილიკი
	წიწვოვანი ხე	წყარო ან ჭა	რკინიგზა	გზის კონტური
კავშირგაბმულობა	ხეხილის ხე	ბენზინგასამართი სადგური	იზოჰიფსი	ფლატე
	პალმა	მაღალი ძაბვის გადამცემი	მთავარი იზოჰიფსი	წყლის კონტური

შპს „პრივატტექსერვისი"
ქ.თბილისი, ორბელიანის ქუჩა №38
შპს "PRIVATTEKSERVISI"
ტელ: +995 514-44-11-41.
E-mail: zviadiw@gmail.com

დირექტორი		ზ. წიკლაური
კომპ. უზრუნველყოფა		ზ. წიკლაური
აზომა		ლ. ჩიტაიშვილი
მისამართი	ქ. თბილისი, ამაღლების ქუჩა №37 საკ. კოდი01.15.05.089.008	
	მასშტაბი 1:500	17.10.2013

ამაღლების ქ. # 37

I სართული

არსებული მდგომარეობის აზომვითი ნახაზი



შ.პ.ს არტ-L	დაინტერესებული პირი:		2010	მ. 1:100	დაკვეთა
	დირექტორი	თ. ხიმშიაშვილი	არსებული გეგმის ფართი		50/07-2010
	არქიტექტორი	ა. საგინაძე			სტადია
	დამუშავება	ა. საგინაძე	ქ.თბილისი		მ/პ
	შეამოწმა	თ. ხიმშიაშვილი			რიცხვი
ტელ. 574-720-720	საპროექტო-საამზომველო ფირმა		ფ.#	ფ.რ.	22.11.2013

ამაღლების ქ. # 37

არსებული მდგომარეობის აზომვითი ნახაზი

ჭრილი 1-1



შ.პ.ს არტ-L	დაინტერესებული პირი:		2010	მ. 1:100	დაკვეთა
	დირექტორი	თ. ხიმშიაშვილი	არსებული გეგმის ფართი		50/07-2010
	არქიტექტორი	ა. საგინაძე			სტადია
	დამუშავება	ა. საგინაძე	ქ.თბილისი		მ/პ
	შეამოწმა	თ. ხიმშიაშვილი			რიცხვი
ტელ. 574-720-720	საპროექტო-საამზომველო ფირმა		ფ.#	ფ.რ.	22.11.2013

შ.პ.ს. საპროექტო,
არქიტექტურულ–დიზაინერული
სტუდია
„ბაზისი XXI“

საქართველო. თბილისი.
დავით აღმაშენებლის გამზ.№63-ა
ტელ. (+995 032) 295 66 63
e-mail: bazisi_xxi@yahoo.com
№ 131/14

L.T.D. projecting,
architect-design
studio
„BAZISI XXI“

63a Agmashenebeli av.
Tbilisi. Georgia
mob. (+995 599) 77 21 77
e-mail: bazisi_xxi@yahoo.com
„15“ აგვისტო. 2014წ.

საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ამაღლების ქუჩა (ყოფილი დავითაშვილის) №37, ზონა 01, სექტორი 15, კვარტალი 05, ნაკვეთი 089/008 მოქალაქე (მესაკუთრე შ.პ.ს. „თბილისის ხედი“) შ.პ.ს. „თბილისის ხედი“-ს დირექტორი ალექსანდრე აბულაძე

შ.პ.ს. „ბაზისი-XXI“-ის სპეციალისტების მიერ ვიზუალური გამოკვლევა ჩაუტარდა ზემოთ აღნიშნულ მისამართზე მდებარე მომიჯნავე საცხოვრებელ სახლს.

მომიჯნავე საცხოვრებელი სახლი ორსართულიანია აგურის კედლებით. საძირკვლები მონოლითური ბეტონის.

როგორც ვიზუალური გამოკვლევისას დადგინდა ზემოთ აღნიშნულ მისამართზე მდებარე მომიჯნავე საცხოვრებელი სახლი დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია. არ შეიმჩნევა სერიოზული ჰორიზონტალური და ვერტიკალური ბზარები, არ აღინიშნება ჯდენები საძირკვლებში.

მომიჯნავე საცხოვრებელ სახლის ამაღლების ქ. №39-ის მიმდებარე საცხოვრებელი სახლი ამაღლების ქ. №37-ის შ.პ.ს. „თბილისის ხედი“-ს დირექტორი ალექსანდრე აბულაძეს განსაზღვრული აქვს შენობის დემონტაჟი.

ამაღლების ქ. №37-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი ერთსართულიანია, საძირკვლები მონოლითური ბეტონის, კედლები წვრილი ბლოკი. შენობა კონსტრუქციულად დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია.

დასკვნა

ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ამაღლების ქუჩა (ყოფილი დავითაშვილის) №37, მესაკუთრე შ.პ.ს. „თბილისის ხედი“-ს დირექტორი ალექსანდრე აბულაძეს განსაზღვრული აქვს ერთსართულიანი საცხოვრებელი სახლის დემონტაჟი, რაც შ.პ.ს. **„ბაზისი-XXI“**-ს შესაძლებლად მიაჩნია შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინებით, რაც უარყოფით გავლენას არ მოახდენს მიმდებარე ორსართულიანი შენობის კონსტრუქციულ მდგრადობაზე:

1. შენობის დემონტაჟი შესრულდეს ხელით, ნაწილობრივ პერფორატორით ყოველგვარი ტექნიკის გამოყენების გარეშე.
2. დემონტაჟის დროს დაცული იქნას უსაფრთხოები ნორმები და წესები.

შ.პ.ს. **„ბაზისი-XXI“**-ის
გენ. დირექტორი, კონსტრუქტორი _____ ი. ცერცვაძე

შ.პ.ს. **„ბაზისი-XXI“**-ის
დირექტორი, კონსტრუქტორი _____ ვ. ჯაფარიძე

დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტი

ქ. თბილისში, ამაღლების ქ. №37-ში ნაკვ. №01.15.05.089.008 არსებული შენობის დემონტაჟი და ტერიტორიის გასუფთავება

დირექტორი:  შ. ჩიტიშვილი

შეადგინა:  ნ. ქარქაშაძე

2013წ.

1. სადემონტაჟო მოედნისა და ობიექტის დახასიათება, ნგრევის პირობები

1.1 ობიექტის დემონტაჟის ქვეშ გათვალისწინებული ტერიტორია განთავსებულია ქ. თბილისში, ძველი თბლისის რაიონში, ამაღლების ქ. №37 (ყოფილი დავითაშვილის ქ). ნაკვ.**№01.15.05.089.008**; წითელ ხაზებში მოქცეულ ტერიტორიაზე ამჟამად განთავსებულია ერთი ერთსართულიანი ბარაკის ტიპის შენობა სარდაფით და გვიანდელი მიშენებით. ასევე ცალკემდგომი ნახევრად დანგრეული დროებითი შენობა. ტერიტორიას ირგვლივ ესაზღვრება საქალაქო გზები და საცხოვრებელი ინდივიდუალური ბინებითა და კორპუსებით განაშენიანებული ტერიტორია.

მოცემული სადემონტაჟო პროექტი ითვალისწინებს წითელ ხაზებში მოქცეული ერთი შენობის და ორი დროებითი მიშენება ფარდულის, კერძოდ: *№01/1; 02/1; 03/1;* შენობების სრულ დემონტაჟს და ტერიტორიის გასუფთავებას.

№ 01/1 შენობა:

ერთსართულიანია, საცხოვრებელი ფუნქციით, ბლოკისა და აგურის წყობით ამოყვანილი კედლებით, რკინაბეტონის ლენტური საძირკვლებით, ქანობიანი ე.წ. შიფერის ფენილიანი სახურავით. ხის შუშაბანდებით და მცირე ზომის სარდაფით.

№ 02/1 შენობა:

წარმოადგენს 01/1შენობის მინაშენს, ასევე ერთსართულიანია, ბლოკისა და აგურის წყობით ამოყვანილი კედლებით, რკინაბეტონის საძირკვლებით, ქანობიანი ე.წ. შიფერის ფენილიანი სახურავით.

№ 03/1 შენობა:

ერთსართულიანია დროებითი შენობის დანიშნულებით, წითელი აგურის წყობით ამოყვანილი კედლებით, ბეტონის საძირკვლებით, ქანობიანი ე.წ. შიფერის ფენილიანი სახურავით

1.2. წითელ ხაზებში მოქცეულ სადემონტაჟო შენობებს ამჟამად შემოსაძღვრული აქვს ღობე, რაც სასურველია შენარჩუნდეს ახალ მშენებლობამდე. ხოლო დემონტაჟის დაწყებამდე დაცული უნდა იყოს ღონისძიებები მტვრის გაბნევისაგან, ამიტომ დაშლის ადგილები სასურველია დაინამოს.

<u>ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები შემდეგია:</u>

დემონტაჟის ქვეშ გამოთავისუფლებული ტერიტორიის ფართობია

წარმოდგენილი გენგეგმით: 353მ²

№01/1 შენობა:

შენობის მოცულობა – 167.4 მ³

საერთო ფართობი სულ – 41.84 მ² (1-სართულიანი)

№ 02/1 შენობა-მიშენება:

შენობის მოცულობა – 48.6 მ³

საერთო ფართობი სულ –12.3მ² (1-სართულიანი)

№ 03/1 შენობა:

შენობის მოცულობა -26მ³

საერთო ფართობი სულ –8მ² (1-სართულიანი)

საერთო ფართობი – 62.11მ² (1-სართულიანი)

2. დემონტაჟის ხანგრძლივობის დადგენა

2.1 დამკვეთის მოთხოვნით სადემონტაჟო სამუშაოების დაწყება-დასრულება საჭიროა განხორციელდეს მოკლე ვადებში. აღნიშნულის გათვალისწინებით დამკვეთთან შეთანხმებით დადგინდა დემონტაჟის გეგმიური ხანგრძლივობა 3 თვის პერიოდით.

2.2 აღნიშნულის საფუძველზე შედგა დემონტაჟის განხორციელების შენაკრები კალენდარული გეგმა. /იხ ნახაზი მოპ-1/.

2.3 დემონტაჟის დასრულება გეგმიურ ვადებში სავსებით შესაძლებელია უწყვეტი ფინანსირების პირობებში, რასაც ხელი უნდა შეუწყოს მშენებლობის რაიონის რბილმა და ზომიერმა კლიმატურმა პირობებმაც, აგრეთვე სამშენებლო ორგანიზაციის მძლავრმა საწარმოო ბაზამ.

3. დემონტაჟის საინჟინრო მომზადება და მისი წარმართვის ცალკეული ეტაპები

3.1. ჩვენს მიერ შედგენილი მოპ-ი ითვალისწინებს სნ და 3.01-0I-85 „სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია” მოთხოვნილებებს დემონტაჟზე ხანძარსაწინააღმდეგო და დემონტაჟის უსაფრთხო წარმოების ღონისძიებათა დაცვით.

3.2. დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტის დამუშავებას საფუძვლად დაედო შემდეგი მონაცემები:

- დავალება დემონტაჟზე;
- დემონტაჟის რაიონის სიტუაციური გეგმა;
- ტოპოგეგმა; საკადასტრო რუკა.
- ობიექტის ნატურაში დათვალიერება.
- არსებული ფოტომასალა.

3.3. დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტი შესრულებულია მოქმედი სამშენებლო ნორმების, წესებისა და სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისობით.

3.4. მიიღებს თუ არა დამკვეთისაგან დამტკიცებულ საპროექტო დოკუმენტაციას, სამშენებლო ორგანიზაცია საჭიროების შემთხვევაში ამუშავებს სამუშაოთა წარმოების პროექტს. ამ პროექტის შედგენა უნდა ხდებოდეს დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტში მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისობით.

3.5. სამუშაოთა დაწყება დაიშვება საპროექტო დოკუმენტაციის საფუძველზე ქალაქის მერიის ურბანული დაგეგმარების სამსახურიდან სათანადო ნებართვის აღების შემდეგ. მოსამზადებელ პერიოდში უნდა მოხდეს დროებითი შენობების დაყენება, დროებითი შემოსაზღვრის-ლენტის მოწყობა, სადემონტაჟო მოედნის უზრუნველყოფა დროებითი წყლით და ენერგიით არსებული ქსელებიდან, აქტის შედგენა მოსამზადებელი პერიოდის სამუშაოების შესახებ.

შენობების სადემონტაჟო სამუშაოების განხორციელება უნდა მოხდეს მიმდევრობითი მეთოდით ზემოდან ქვევით და სათანადო კომისიის დასწრებით. **შენობის დემონტაჟი უნდა განხორციელდეს მხოლოდ ხელით (ტექნიკის გამოყენების გარეშე); უსაფრთხოების ნორმების სრული დაცით და კონსტრუქციული დასკვნის რეკომენდაციების გათვალისწინებით**. სამუშაოების დროს უნდა იყოს გათვალისწინებული: ყველა კონსტრუქციის მიმდევრობითი დემონტაჟი, მუშების სათანადო ინსტრუქტაჟი და უზრუნველყოფა სპეციალური ტანსაცმლით და სათვალეებით, ნაგვის გატანა სპეციალური ავტოთვითმცელების საშუალებით. აქტის შედგენა ძირითადი პერიოდის სამუშაოების შესახებ. ნაგვის ტრანსპორტირების სვლა-გეზი უნდა შეთანხმდეს ქალაქის საგზაო პატრულთან. ავარიული სიტუაციის შემთხვევაში უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება და ყველა სადემონტაჟო კონსტრუქციების გამაგრება. ყველა საშიში ადგილი უნდა იყოს შემოღობილი სათანადო განათებით ღამის საათებში.

თავდაპირველად მოხდება შენობებიდან კარ-ფანჯრების მოხსნა. შემდეგ სახურავის მოხსნა.

სახურავის დემონტაჟი განხორციელდება ხელით – თავდაპირველად ფენილის (თუნუქის) შემდეგ ხის სანივნივე სისტემის.

დემონტაჟი უნდა განხორციელდეს ინჟინერ-სპეციალისტის მეთვალყურეობის ქვეშ. დაცული უნდა იქნას დემონტაჟის უსაფრთხოების ნორმები.

სახურავის შემდეგ დაიწყება კედლების (ბლოკისა და აგურის წყობის) დაშლა და კარკასის დემონტაჟი. აღნიშნული სამუშაოები უნდა განხორციელდეს ხელით (ზევიდან ქვევით); შესაძლებელია მხოლოდ ხელის პერფორატორის დახმარებით, კედლების დემონტაჟის შემდეგ განხორციელდება რკინა-ბეტონის ლენტური საძირკვლების დემონტაჟი, დაშლილ საძირკვლებთან ერთად მოხდება არსებული საძირკვლების ძირის ნიშნულზე გრუნტის მოჭრა და სამშენებლო მოედნიდან გატანა.

სამშენებლო ნაგვის და გრუნტის გატანა მოხდება ავტოთვითმცლელებით.

3.6. სამშენებლო წარმოების უწყვეტობისა და ტექნოლოგიურობის უზრუნველსაყოფად სამუშაოები უნდა შესრულდეს სნ და წ III-15-80-ით გათვალისწინებული მოთხოვნების სრული დაცვით.

3.7. დაშლა ხორციელდება საავტორო და ტექნიკური ზედამხედველობის ქვეშ.

4. დემონტაჟის წარმოების წესები და მეთოდები

4.1 დემონტაჟის ორგანიზაცია და სადენმონტაჟო სამუშაოთა წარმართვა უნდა მოხდეს მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისობით. 1987 წ. მშენებლობის სამინისტრომ ქართულ ენაზე გამოსცა „კრებული სამახსოვრო „სამშენებლო წარმოების ნორმები და წესები-ამონაკრები მოქმედი ნორმატული დოკუმენტებიდან. მათი ნაწილი (ტირაჟიდან შემორჩენილი) ინახება სამინისტროს შპს „მშენაღდგენაში“ და დღესაც ინარჩუნებს აქტუალობას.

4.2. ქვემოთ ჩამოთვლილია მოქმედი ნორმები და წესები, რომლებითაც უნდა იხელმძღვანელოს სამშებლო ფირმამ სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების დროს;

- სნ და წ 111-4-80 ‘„უსაფრთხოების ტექნიკაში“;
- სახანძრო უსაფრთხოების წესები სამშენებლო-სამონტჟო სამუშაოთა წარმოების დროს;
- სნ და წ 1.06.05-85 „მშენებლობისადმი საპროექტო ორგანიზაციების მიერ საავტორო ზედამხედველობა“;

4.3. აგრეთვე საჭიროა საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული შემდეგი კანონებით ხელმძღვანელობაც:

– გარემოს დაცვის თაობაზე, 1996 წელი;

– წყლის გამოყენების შესახებ, 1997 წელი;

გარემოს დაცვის შესახებ კანონი განსაზღვრავს ჰაერის დაბინძურების, წყლის დაბინძურების, წყლის აღებისა და ჩაშვების, ხმაურისა და სხვათა შესახებ საკითხებს, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია სამშენებლო და სადემონტაჟო სამუშაოთა შესრულების პროცესში.

ასევე კანონით წყლის შესახებ განსაზღვრულია ზედაპირული, მიწისქვეშა და სანაპირი წყლების აღება და ჩაშვების ლიცენზიებთან დაკავშირებული საკითხები.

კანონი ატმოსფერული ჰაერის შესახებ ითვალისწინებს ჰაერის კონტროლსა და დაბინძურების შეზღუდვის მეთოდებს, ჰაერის ხარისხიანობის სტანდარტებს და განსაზღვრავს დასაშვებ ზღვრებს სამშენებლო საქმიანობის პირობებში.

მავნე ქიმიური ელემენტების შესახებ კანონი მოიცავს მავნე ნივთიერებათა კლასიფიკაციას და მათ უსაფრთხო მოხმარების საკითხებს. მაგალითად თუ სამშენებლო ნაგავი მტვერის გაბნევის საშიშროებას მოიცავს თვითმცლელ მანქანებზე დაყრის შემდეგ მას აუცილებელია გადაეფაროს სახურავი ბრეზენტისაგან ან მყარი მასალისაგან.

5. რეკომენდებული სამშენებლო მანქანა-დანადგარები, მექანიზმები და ინსტრუმენტები

5.1. დემონტაჟის ნორმების უწყვეტი რითმისა და ტექნოლოგიურობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია მისი აღჭურვა თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით. მათი რეკომენდირებული ჩამონათვალი მოცემულია ცხრილში.

№	დასახელება	ერთ.განზომ	რაოდენ. ცალი
1	2	3	4
1	ხელის პერფორატორები	კომპ.	3
2	ავტოთვითმცლელები 5- 10ტ-იანი ნაგვის გასატანად.	ც	4
3	სხვადასხვა დანიშნულების ხელის მოწყობილობა-ინსტრუმენტები: ნიჩბები, ბარები, ლომები, წერაქვები და სხვა	კომპ	20

5.2. რეკომენდებული ინსტრუმენტ-მოწყობილობები შესაძლოა შეიცვალოს ანალოგიურით ან უფრო თანამედროვეთი.

6. დემონტაჟზე შრომისა და ელექტროუსაფრთხოების წესების დაცვა

მომუშავეთა შრომის უსაფრთხოების ღონისძიებები სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების ყველა ეტაპზე უნდა იყოს დაცული თანახმად „სნ და წ 111-4-80 უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში" და სხვა ნორმატულ-საკანონმდებლო დოკუმენტების მითითებების შესაბამისობით. მათგან ყურადღება მახვილდება შემდეგზე.

6.1. სამუშაო ადგილები მუშაობის პირობებისა და ტექნოლოგიურობის გათვალისწინებით უზრუნველყოფილ უნდა იყოს კოლექტიური დაცვისა და სიგნალიზაციის საშუალებებით.

6.2 მაღალ სადემონტაჟო სიმაღლეზე მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის ასვლისათვის უნდა დაიდგას ინვენტარული კიბეები ყოველ 25-30 მეტრზე და მოეწყოს ხარაჩოები.

6.3 დემონტირებული ნაგვის დატვირთვა ავტოთვითმცლელებზე უნდა წარმოებდეს გვერდიდან ან უკანა მხრიდან.

6.4 ზოგიერთ სამუშაოზე მუშები უნდა იყენებდნენ სპეცტანსაცმელს და თავსაბურავებს.

6.5 ელექტრო უსაფრთხოების წესები ჩამოყალიბებულია საქ. სტანდარტში 12.1.013-88. ელექტროკარადა ყოველთვის უნდა იყოს ჩაკეტილ მდგომარეობაში, ელექტროკაბელები, ელექტროსადენები და მოწყობილობები კი იზოლირებული. გაშიშვლებული სადენების გამოყენება აკრძალულია.

7. ეკოლოგია და ბუნების დაცვის საკითხები

7.1. დემონტაჟისას აუცილებელია განხორციელდეს სპეციალური ღონისძიებები მიმდინარე ტერიტორიის დამტვერიანებისაგან თავის ასაცილებლად. უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ნაგვის ჩაყრა უშუალოდ თვითმცლელი ავტომანქანების ძარებში.

7.2 დაუშვებელია არსებული საკანალიზაციო ჭებში მილსადენების ჩარეცხვა ან მათი დანაგვიანება სამშენებლო ნარჩენებით.

7.3 ასევე არსებული საკანალიზაციო ქსელის პირობებში მიზან- შეწონილად ვერ ჩაითვლება დროებითი ტუალეტის მოწყობა ამოსახაპ ორმოზე. მათი დროებითი ჩართვაც სასურველია საკანალიზაციო კოლექტორში.

7.5 ზემოთ მითითებული დებულებებიდან გამომდინარე შენობათა დემონტაჟი უნდა განხორციელდეს ბუნების დაცვითი და ჰაერის გაბინძურების საწინააღმდეგო ღონისძიებების დაცვით მომქმედი საკანონმდებლო აქტებისა და ნორმატული დოკუმენტების შესაბამისობით.

8. მოპ-ის შედგენისათვის ნორმატული ბაზა

8.1. სნ და წ 3. 0.1 0.1-85 „სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია".

8.2. სნ და წ 1. 0.4 0.3-85 „მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმები საცხოვრებელი სახლები მშენებლობაზე".

8.3. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის შედგენის ეტალონი სახრეთის მთიანი რაიონებისათვის .

8.4. კრებული-სამახსოვრო „სამშენებლო წარმოების ნორმები და წესები „ამონაკრები მომქმედი სამშენებლო ნორმებიდან და წესებიდან", ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს გამოცემა, თბილისი, 1987 წელი ქართულ ენაზე.

8.5 სნ და წ III - 4-80 „უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაზე".



A 3

დაკვეთა

ექსპლიკაცია

1. 01/1 სადემონტაჟო შენობა
2. 02/1 სადემონტაჟო მიშენება
3. 03/1 სადემონტაჟო ნახევრად დანგრეული შენობა
4. სადარაჯო-საკონტროლო ჯიხური

პირობითი აღნიშვნები

წითელი ხაზი

არსებული ღობე (სასურველია შენარჩუნდეს მშენებლობის პროცესში)

დროებითი სამშენებლო ავტოჭიშკარი

შენიშვნები

1. დემონტაჟის დროს ნებისმიერი ცვლილება, შეთანხმდეს პროექტის ავტორთან

პროექტის სახელწოდება

შ.პ.ს. თბილისის ხედი
ქ.თბილისი, ამაღლების ქუჩა 37
ნაკვეთი 01.15.05.089.008
არსებული შენობის დემონტაჟი და ტერიტორიის გასუფთავება

თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა
დირექტორი	შ. ჩიტიშვილი	
მთ. არქიტექტორი	შ. ჩიტიშვილი	
პრ. ავტორი	ნ.მახარაშვილი	
დაამუშავა	ნ. ქარქაშაძე	
შეამოწმა	ლ. ჯანხოთელი	

მისამართი
თბილისი, სანაპიროს 4.
ტელ: (99599) 560302
(995) 2920892
4 Sanapiro st., Tbilisi, Georgia
Tel: (99599) 560302
(995) 2920892
E_mail: shakochl@yahoo.com

მასშტაბი 1 : 250

ნახაზის სახელწოდება
სადემონტაჟო გენგეგმა

თარიღი 01.11.2013

პროექტი	ფურცელი	ფურცლები
მუშა პროექტი	მოპ	1

ქ. თბილისში, ამაღლების ქ. №37-ში ნაკვ. №01.15.05.089.008 არსებული შენობის დემონტაჟი და ტერიტორიის გასუფთავება

დემონტაჟის განხორციელების შენაკრები კალენდარული გეგმა

№	ობიექტისა და სამუშაოების დასახელება	დემონტაჟის ხანგრ. დღეებში	თვეების რაოდენობა დემონტაჟის პერიოდების მიხედვით		
			I თვე	II თვე	III თვე
1	2	3	3	4	5
1	მოსამზადებელი სამუშაოები	5			
2	არსებული 01/1 ერთსართულიანი შენობისა და მიშენება 02/1-ის დემონტაჟი და გატანა სადემონაჟო მოედნიდან	30			
3	არსებული ერთსართულიანი 03/1 დემონტაჟი და გატანა სადემონტაჟო მოედნიდან	20			
4	სადემონტაჟო ტერიტორიის გასუფთავება და ობიექტის ექსპლუატაციაში ჩაბარების წინა სამუშაოები	10			

1 შენობა-ნაგებობათა დემონტაჟის ხანგრძლივობა მიღებულია 3 თვის პერიოდში. მოპ-1

2. კალენდარულ თვეში მიღებულია 25 სამუშაო დღე შაბათის ჩათვლით, კვირა დასვენების დღედაა ჩათვლილი.